

სს ციურიხის სამედიცინო კვლევითი ცენტრი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის


სარჩევი:

გვერდი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება-----	3
მოგებისა და ზარალის ანგარიშგება -----	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	5
ფულადი სახსრების ანგარიშგება -----	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები -----	7

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	12/31/2022	12/31/2021	12/31/2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	388,147	348,587	26,347
არამატერიალური აქტივები	1,000	1,000	1,000
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	0	0	0
	389,147	349,587	27,347
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	13,144	3,363	12,131
საგაქრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	188,100	835,184	112,771
მარაგები	136,861	201,516	107,754
	338,105	1,040,063	232,656
მთლიანი აქტივები	727,252	1,389,650	260,003
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	498,794	149,046	-32,585
გადაფასების რეზერვი			
	498,794	149,046	-32,585
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	-	-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	0	28,000	23,000
საგაქრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	227,698	1,211,844	269,588
საგადასახადო ვალდებულებები	760	760	
	228,458	1,240,604	292,588
მთლიანი ვალდებულებები	228,458	1,240,604	292,588
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები	727,252	1,389,650	260,003

დირექტორი:



მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	12/31/2022	12/31/2021
ამონაგები	3,375,966	3,087,237
თვითღირებულება	(1,884,374)	(2,078,221)
საერთო მოგება	1,491,592	1,009,016
სხვა შემოსავლები	14,055	22,750
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(1,125,983)	(831,106)
მიწოდების დანახარჯები	(28,544)	(15,391)
სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო	(1,060)	(4)
სხვა ხარჯები	(210)	(470)
საოპერაციო მოგება	349,850	184,795
ფინანსური შემოსავალი	-	-
ფინანსური ხარჯი	(55)	(3,164)
ფინანსური ხარჯი - წმინდა	(55)	(3,164)
მოგება დაბეგვრამდე	349,795	181,631
მოგების გადასახადი	(47)	-
პერიოდის მოგება	349,748	181,631
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	349,748	181,631


დირექტორი:



საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	-
მოგება წლის ბოლოს სხვა სრული შემოსავალი			(32,585)	(32,585)
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(32,585)	(32,585)
გაცემული დივიდენდი			-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	-	-	(32,585)	(32,585)
მოგება წლის ბოლოს სხვა სრული შემოსავალი			181,631	181,631
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	181,631	181,631
გაცემული დივიდენდი			-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	-	-	149,046	149,046
მოგება წლის ბოლოს სხვა სრული შემოსავალი			349,748	349,748
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	349,748	349,748
გაცემული დივიდენდი			-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	498,794	498,794

დირექტორი:



ფულადი ნაკადების ანგარიშგება	12/31/2022	12/31/2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
- კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები	3,788,247	2,238,960
- მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე საქვეყნო გაცემულ ფულადი სახსრები	(2,671,654)	(1,171,887)
- ხელფასი და ფ/კ მომსახურება	(753,007)	(571,453)
- სხვა ხარჯები	(2,942)	(1,681)
- სხვა შემოსავლები		
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	360,644	493,939
გადახდილი პროცენტი	(3,879)	-
საბიუჯეტო გადასახდელები	(211,936)	(153,675)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	144,829	340,264
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
- ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(107,048)	(354,028)
- ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	-
- მოკლევადიანი ინვესტიციები	-	-
- მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში	-	-
- მიღებული დივიდენდი	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(107,048)	(354,028)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
- გაცემული დივიდენდი	-	-
- გაცემული სესხი	-	-
- მიღებული ფულადი სახსრები გაცემულის სესხის დასაფარად	-	-
- კაპიტალის ცვლილება	-	-
- სესხის აღება	-	5,000
- გასაგები აღებული სესხის დასაფარად	(28,000)	-
- მიღებული პროცენტი	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(28,000)	5,000
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების ზრდა (კლება)	9,781	(8,764)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების საწყისი ბალანსი	3,363	12,131
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამომწვეული ცვლილება	-	(4)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბოლოო ბალანსი	13,144	3,363

დირექტორი:




სს ციურიხის სამედიცინო კვლევითი ცენტრი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

სს ციურიხის სამედიცინო კვლევითი ცენტრი (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405 402 728) არის 10/07/2020 წელს საქართველოში რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება. კომპანიას 29/04/2021 წელს გადაერქვა სახელი (ძველი საფირმო სახელწოდება: სს ციურიხის ლაბორატორია) კომპანიის იურიდიული მისამართი არის: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზ., I კვარტ., კორპ. 11, ბ. 27 . კომპანია ლაბორატორიული მომსახურების გაწევას ახორციელებს თბილისში, ოთარ ლორთქიფანიძის ქუჩა N31-ში მდებარე ფილიალში. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ლაბორატორიული მომსახურების გაწევა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგებების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. კომპანიის მმართველებსა და მფლობელებს სურვილი აქვთ განავითარონ კომპანიის საქმიანობა და გაზარდონ კომპანიის მოგება, შესაბამისად ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე.

3. წარსადგენი ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში, რადგან კომპანია ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებს საქართველოში და ქართული ეროვნული ვალუტა - ლარი, საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებსა და მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

4.1 შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

შემოსავალი მიიღება ნაღდი ფულით, საკრედიტო ბარათით ან საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით.

ლაბორატორიული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი შედგება სადაზღვევო კომპანიებისგან, სამედიცინო დაწესებულებებისგან და თანაგადახდის შედეგად მიღებული შემოსავლებისგან.

კომპანია ლაბორატორიული მომსახურებიდან მიღებულ შემოსავალს აღიარებს ფაქტობრივი ლაბორატორიული მომსახურების დასრულების ეტაპისა და კონტრაქტებს შორის შეთანხმებული პირობების და სახელშეკრულებო ტარიფების შესაბამისად.

კომპანიამ Covid-19 პანდემიის ფარგლებში, ასევე მიიღო შემოსავალი სახელმწიფოსგან, კერძოდ სახელმწიფო პროგრამის „ახალი კორონა ვირუსული დაავადების Covid-19-ის მართვის“ ფარგლებში განახორციელა ინფექციის დიაგნოსტიკის უზრუნველყოფა და დადასტურებული დიაგნოზის მქონე ბენეფიციარების ამბულატორიული კვლევა. აღნიშნული შემოსავალი აღიარდა ფაქტობრივი ლაბორატორიული მომსახურების დასრულების ეტაპისა და კონტრაქტებს შორის შეთანხმებული პირობების შესაბამისად.

4.2 გადასახადით დაბეგვრა და საგადასახადო კანონმდებლობა

მოგების გადასახადი არის ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გადაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახადით, მხოლოდ მაშინ, თუ მოხდება მოგების განაწილება ან/და ისეთი ტრანზაქციები, რომელიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან. ამ შემთხვევაში მოგების გადასახადი იბეგრება 15/85 პროპორციით. აღნიშნული ცვლილების გამო არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში, შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად კომპანიის საქმიანობა გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისაგან და შესაბამისად კომპანია არ არის დღგ-ს გადამხდელი.

მართალია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა შედგება ისეთი მუხლებისგან, რომელთა ინტერპეტირება სხვადასხვაგვარად არის შესაძლებელი, თუმცა კომპანია მიიჩნევს, რომ მას კეთილსინდისიერად აქვს გადახდილი ყველა გადასახადი და საგადასახადო რისკებისთვის დამატებითი რეზერვის შექმნის საჭიროება არ არსებობს.

4.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო

მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა

დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებაზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი

აქტივების გამოყენებიდან სარგებლის მიღებას.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას შემდეგ, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივის სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

მანქანა-დანადგარები: 5-10 წელი

მოწყობილობები და სამედიცინო აპარატურა: 5-10 წელი

საოფისე აღჭურვილობა და ავეჯი: 3-7 წელი

სატრანსპორტო საშუალებები (მოტოციკლი, მოპედი): 5 წელი.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

4.4 არამატერიალური აქტივი

არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს ცხელი ხაზის ნომერი, რომელიც ასახულია დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. არამატერიალურ აქტივზე ამორტიზაციის დარიცხვა არ ხორციელდება.

4.5 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების და საინვესტიციო ქონების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ

თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

4.6 იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის აკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო/ჩვეულებრივ იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღირდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მნიშალორ საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც კომპანიის საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში. მასთან დაკავშირებული შენახვის და მოვლა/პატრონობის ხარჯები აღიარდება როგორც გაწეული ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

კომპანიის ყველა იჯარა მოკლევადიანია და კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო/ჩვეულებრივ იჯარად.

4.7 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ძირითადად მოიცავს სამედიცინო დანიშნულების მარაგებს, რომლებიც საჭიროა მომსახურების გასაწევად და ასევე არასამედიცინო მარაგებს, რომელიც მომავალში წარმოადგენს საოფისე ხარჯს. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს მარაგების შეძენაზე, ადგილზე მიტანაზე და არსებულ მდგომარეობამდე მიყვანაზე გაწეულ ხარჯებს.

4.8 ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ რისკს და სარგებელს.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯებით.

4.9 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებისათვის და სადაზღვევო კომპანიებისათვის ლაბორატორული მომსახურების გაწევა ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საექვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა ის მოთხოვნა, რომლის თანხის ამოღებაც მოსალოდნელი არ არის, პირდაპირ მოგება-ზარალში ჩამოიწერება ხარჯად.

4.10 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

4.11 ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

4.12 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება, ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას გააჩნია იურიდიული ვალდებულება გადაიხადოს საპენსიო შენატანები.

4.13 უცხოური ვალუტა

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) კონვერტირებულია ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაანგარიშებულია ამავე

თარიღისთვის ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული გაცვლითი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია სრული

შემოსავლების ანგარიშგებაში.

4.14 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებების საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

5. ძირითადი საშუალებები

	აგეზი და ოფისის აღჭურვილობა	საბრუნსპორტო საშუალებები	მანქანა- დანადგარები და სამედიცინო აპარატურა
31 დეკემბერი 2020	-	-	26,347
შემოსვლა (2021წ)	33,272	6,330	314,425
გადაფასება (2021წ)	-	-	-
გასვლა (2021წ)	-	-	-
პერიოდის ცვლათ (2021წ)	(2,262)	(1,055)	(28,470)
გაუფასურება (2021წ)	-	-	-
გასვლა (2021წ)	-	-	-
31 დეკემბერი 2021	31,010	5,275	312,302
შემოსვლა (2022წ)	10,296	4,134	92,618
გადაფასება (2022წ)	-	-	-
გასვლა (2022წ)	-	(5,064)	-
პერიოდის ცვლათ (2022წ)	(5,756)	(878)	(55,790)
გაუფასურება (2022წ)	-	-	-
გასვლა (2022წ)	-	-	-
31 დეკემბერი 2022	35,550	3,467	349,130
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2020	-	-	26,347
31 დეკემბერი 2021	31,010	5,275	312,302
31 დეკემბერი 2022	35,550	3,467	349,130

6. არამატერიალური აქტივები

	ცხელი ხაზის ნომერი
31 დეკემბერი 2020	1,000
შემოსვლა (2021წ)	-
გადაფასება (2021წ)	-
გასვლა (2021წ)	-
პერიოდის ცვლათა (2021წ)	-
გაუფასურება (2021წ)	-
გასვლა (2021წ)	-
31 დეკემბერი 2021	1,000
შემოსვლა (2022წ)	-
გადაფასება (2022წ)	-
გასვლა (2022წ)	-
პერიოდის ცვლათა (2022წ)	-
გაუფასურება (2022წ)	-
გასვლა (2022წ)	-
31 დეკემბერი 2022	1,000
წმინდა საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2020	1,000
31 დეკემბერი 2021	1,000
31 დეკემბერი 2022	1,000

7. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

	2022
ნაღდი ფული საღაროში	1,616
მიმდინარე საბანკო ანგარიშები	11,528
სულ	13,144

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	181,241
გადახდილი ავანსები	6,859
ზედმეტობა საბიუჯეტო გადასახადებში	-
სულ	188,100

9. მარაგები

	2022
გადასაყიდად შეძენილი სამედიცინო სახარჯი/მასალა	136,861
სულ	136,861

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2022
სავაჭრო ვალდებულებები	227,698
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-
მიღებული ავანსები	-
დარიცხული პროცენტები	-
სულ	227,698

11. ამონაგები

	2022
საქონლის გაყიდვა	-
მომსახურების გაწევა	3,375,966
სულ	3,375,966

12. სხვა შემოსავალი

	2022
უსასყიდლოდ მიღებული პროდუქცია	14,055
სულ	14,055

13. სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

	2022
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	4
მოპედის რეალიზაცია	(1,064)
სულ	(1,060)

14. სხვა ხარჯები

	2022
ადმინისტრაციული ჯარიმა	(210)
უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება	-
სულ	(210)

15. ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები

<i>ფინანსური დანახარჯები</i>	2022
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(55)
სულ ფინანსური დანახარჯები	(55)

<i>ფინანსური შემოსავალი</i>	
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	-
სულ ფინანსური შემოსავალი	-

ნეტო ფინანსური დანახარჯები	(55)
-----------------------------------	-------------

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორის მიერ 2023 წლის 25 სექტემბერს.

დირექტორი:

